საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2021 წლის 16 ივლისი**

დისციპლინური საქმე №212/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2019 წლის 26 დეკემბრის №212 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 20 თებერვლის №212/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

-- -- აღნიშნავს, რომ -- -- სასამართლოს წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულების -- -- და -- -- მიმართ. საჩივრის ავტორის შეფასებით, აღნიშნულ სს საქმეს სასამართლო განიხილავს არაგონივრული ვადის განმავლობაში და იკვეთება საქმის განხილვის გაჭიანურების ფაქტი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, -- -- 2013 წლის 5 აპრილს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს, ჩადენილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის მიმართ. -- -- სასამართლოს 2013 წლის 06 აპრილის განჩინებით, ბრალდებულ -- -- მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა გირაო. ამასთან, აღნიშნულ განჩინებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივარი, -- სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 13 აპრილის განჩინებით არ იქნა დაშვებული განსახილველად.

-- -- 2013 წლის 29 აპრილს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს, ჩადენილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად,

დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის მიმართ. -- -- სასამართლოს 2013 წლის 1 მაისის განჩინებით, ბრალდებულ -- -- მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა გირაო. ამასთან, აღნიშნულ განჩინებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივარი, -- სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 11 მაისის განჩინებით არ იქნა დაშვებული განსახილველად.

-- -- სასამართლოს 2013 წლის 8 აგვისტოს წინასასამართლო სხდომის ოქმის შესაბამისად, სს საქმეზე - ბრალდებულების -- -- და -- -- მიმართ, საქმის არსებითი განხილვის სხდომა დაინიშნა 2013 წლის 16 აგვისტოს, 15:00 საათზე. სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულების -- -- და -- -- მიმართ, -- -- სასამართლოს მოსამართლეს -- -- არსებითად განსახილველად გადაეცა **2013 წლის 08 აგვისტოს.**

ზემოაღნიშნული სს საქმის არსებითი განხილვის ფარგლებში, პირველი სასამართლო სხდომა გაიმართა 2014 წლის 19 თებერვალს. აღნიშნულ სხდომაზე, სასამართლომ მოისმინა მხარეთა შესავალი სიტყვები და განიხილა მხარეთა შუმადგომლობები.

2014 წლის 19 თებერვლის შემდგომ, სასამართლო სხდომები გაიმართა შემდეგი თანმიმდევრობით:

- სასამართლო სხდომა გაიმართა 2014 წლის 22 ოქტომბერს. აღნიშნული სხდომა გადაიდო ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. კერძოდ, სს საქმეზე პროკურორის შეცვლის გამო, ბრალდების მხარემ ვერ შეძლო საქმის მასალების გაცნობა და ითხოვა საქმის განხილვის სხვა დროისთვის გადადება.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2014 წლის 26 ნოემბერს. აღნიშნულ სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 3 (სამი) მოწმე.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2015 წლის 24 მარტს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 2 (ორი) მოწმე.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2015 წლის 27 აპრილს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 5 (ხუთი) მოწმე.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2015 წლის 19 მაისს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 5 (ხუთი) მოწმე.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2015 წლის 16 ივნისს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 4 (ოთხი) მოწმე.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2015 წლის 13 აგვისტოს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 4 (ოთხი) მოწმე.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2015 წლის 2 სექტემბერს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 3 (სამი) მოწმე.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2015 წლის 16 დეკემბერს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 1 (ერთი) მოწმე.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2016 წლის 29 მარტს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 1 (ერთი) მოწმე.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2016 წლის 4 მაისს. აღნიშნულ სასამართლო სხდომა გადაიდო ბრალდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატების გამოუცხადებლობის გამო.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2016 წლის 27 მაისს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 2 (ორი) მოწმე. ამასთან, მოსამართლემ მოისმინა ბრალდებულის ადვოკატების განმარტება 2016 წლის 4 მაისის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე. ბრალდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა განმარტა, რომ ჯანმრთლეობის მდგომარეობის გამო, ვერ შეძლო წინა სხდომაზე გამოცხადება. მოსამართლემ ზეპირი განმარტებების შედეგად, მიიღო გადაწყვეტილება და ადვოკატების გამოუცხადებლობის მიზეზი ჩათვალა საპატიოდ.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2016 წლის 26 ივნისს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 2 (ორი) მოწმე.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2016 წლის 5 სექტემბერს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე

ბრალდების მხარემ დაკითხა 2 (ორი) მოწმე.

- სასამართლო სხდომა გაიმართა 2016 წლის 13 სექტემბერს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 2 (ორი) მოწმე.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2016 წლის 22 სექტემბერს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 2 (ორი) მოწმე.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2016 წლის 22 სექტემბერს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 2 (ორი) მოწმე.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2016 წლის 18 ოქტომბერს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 1 (ერთი) მოწმე.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2016 წლის 18 ნოემბერს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 2 (ორი) მოწმე.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2016 წლის 26 დეკემბერს. ბრალდების მხარემ სასამართლო სხდომაზე ვერ შეძლო მოწმეების წარმოდგენა. აღნიშნული მიზეზით სხდომა გადაიდო.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2017 წლის 31 იანვარს. აღნიშნული სხდომა გადაიდო მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, რის შესახებაც წინასწარ აცნობეს სასამართლოს.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2017 წლის 30 მარტს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 1 (ერთი) მოწმე.
- მომდევნო სასამართლო სხდომა სასამართლომ, მხარეთა შეთანხმებით, ჩანიშნა 2017 წლის 27 აპრილს, თუმცა აღნიშნული სასამართლო სხდომა გადაიდო სხდომის გაუხსნელად და მომდევნო სხდომა ჩაინიშნა 2017 წლის 19 მაისს. საქმის მასალების მიხედვით, სხდომის გადადების მიზეზი ვერ დგინდება.
- 2017 წლის 19 მაისის სასამართლო სხდომა გადაიდო მოსამართლის -- -- მივლინებაში ყოფნის გამო. მომდევნო სხდომა ჩაინიშნა 2017 წლის 22 ივნისს.
- 2017 წლის 22 ივნისის სასამართლო სხდომა გადაიდო სხდომის გაუხსნელად, განუსაზღვრელი ვადით. საქმის მასალების მიხედვით, სხდომის გადადების მიზეზი ვერ დგინდება.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2018 წლის 19 მარტს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 2 (ორი) მოწმე.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2018 წლის 5 აპრილს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 4 (ოთხი) მოწმე.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2018 წლის 20 აპრილს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 4 (ოთხი) მოწმე.
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს **2018 წლის 7 მაისის** ბრძანებით, 2018 წლის 7 მაისიდან, მოსამართლე -- -- შეუჩერდა სამსახურებრივი ურთიერთობა შრომის უნარის აღდგენამდე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის -- -- ბრძანებით, 2018 წლის -- --, მოსამართლე -- -- შეუჩერდა სამსახურებრივი ურთიერთობა შრომის უნარის აღდგენამდე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის -- -- ბრძანებით, 2018 წლის -- -- -- ჩათვლით, მოსამართლე -- -- იმყოფებოდა კუთვნილ ანაზღაურებად შვებულებაში.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2018 წლის 26 დეკემბერს. აღნიშნული სხდომა გადაიდო ბრალდების მხარის მიერ მოწმეთა წარმოუდგენლობის მიზეზით.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2019 წლის 24 იანვარს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 1 (ერთი) მოწმე.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2019 წლის 25 თებერვალს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 4 (ოთხი) მოწმე.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2019 წლის 8 აპრილს. აღნიშნული სხდომა გადაიდო საბადრაგო სამსახურის მიერ მოწმეთა სხდომაზე წარმოუდგენლობის მიზეზით.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2019 წლის 3 მაისს. აღნიშნული სხდომა გადაიდო სასამართლო სხდომაზე მოწმეთა გამოუცხადებლობის მიზეზით.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2019 წლის 13 ივნისს. აღნიშნულ სხდომაზე ბრალდების მხარემ

დაკითხა 2 (ორი) მოწმე.

- სასამართლო სხდომა გაიმართა 2020 წლის 31 იანვარს. აღნიშნულ სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 3 (სამი) მოწმე.
- სასამართლო სხდომა გაიმართა 2020 წლის 17 თებერვალს. აღნიშნულ სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკითხა 3 (სამი) მოწმე.

საერთო ჯამში, სს საქმის არსებითი განხილვის დღიდან, დისციპლინური საჩივრის შესწავლის დროისთვის, სს საქმეზე ჩაინიშნა 30 სასამართლო სხდომა და დაკითხულია 65-ზე მეტი მოწმე. ამასთან, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ 6 სხდომა გადაიდო მხარეების მიერ საპროცესო კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზით. კერძოდ, 2 სხდომა გადაიდო მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, ხოლო 4 სხდომაზე ბრალდების მხარემ ვერ შეძლო სასამართლოსთვის მოწმეების წარმოდგენა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 20 თებერვლის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 26 დეკემბრის №212 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. ამავე ქვეპუნქტის თანახმად, საპროცესო ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის შინაარსიდან და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა შეფასდეს გვაქვს თუ არა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

საკითხის ობიექტური და სამართლიანი შეფასების მიზნით, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილ პრაქტიკაზე, რომელიც ეხება საქმის გონივრულ ვადაში განხილვის ზოგად სტანდარტებს. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში აღიარებულია, გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის უფლება. დანაწესი მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ბრალდებულ პირებს არ მოუწიოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბრალდებულის სტატუსში ყოფნა და ბრალეულობის საკითხზე გადაწყვეტილება დროულად იქნას მიღებული (Wemhoff v Germany, §18; Kart v. Turkey[GC], §68). ამდენად, გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის უფლება უპირველესყოვლისა უზრუნველყოფილია ბრალდებულის ინტერესებიდან გამომდინარე.

ამასთანავე, საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების შესაძლო ჩადენაზე მსჯელობისას ასევე აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grange v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Humen v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tierce and others v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany, §98).

გარდა საქმის განხილვის გონივრულ ვადაში განხილვის სტანდარტისა, მნიშვნელოვანია ეროვნულ საპროცესო კანონმდებლობის ანალიზი, რომლითაც განსაზღვრულია საქმის განხილვის ვადები.

კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა. ამავე კოდექსის 333-ე მუხლის მე-8 და მე-9 ქვეპუნქტების თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის ამოქმედების მომენტისათვის სასამართლოში განსახილველად არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენი გამოაქვს იმავე ნაწილის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 36 თვისა. 185-ე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილები ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულების -- -- და -- -- მიმართ, -- -- სასამართლოს მოსამართლეს -- -- არსებითად განსახილველად გადაეცა **<u>2013 წლის 08 აგვისტოს.</u>** ამდენად, არსებული საპროცესო რელგულაციების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა უნდა დასრულებულიყო არაუგვიანეს 2019 წლის 1 იანვარს.

დისციპლინური საჩივრის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ განსახილველ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის განხილვის ვადა 10 თვეზე მეტი დროით აღემატება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადას (საჩივრის შესწავლის დროისთვის). თუმცა მოცემულ შემთხევაში გამოვლინდა

საქმის განხილვის გაჭიანურების ობიექტური გარემოებები. კერძოდ, განსახილველ შემთხვევაში, ბრალდებულების -- -- და -- -- მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვასთან მიმართებაში გასათვალიწინებელია რამდენიმე ფაქტობრივი გარემოება:

1. საქმის სირთულე - განსახილველი სისხლის სამართლის საქმე მიეკუთვნება მრავალტომიანი საქმეთა კატეგორიას. ამასთან, საქმეზე დასაკითხია 100-ზე მეტი მოწმე და გამოსაკვლევია არაერთი მტკიცებულება.
2. მოსამართლის გადატვირთულობა - მოსამართლე -- -- მიერ 2017-2019 წლებში (პერიოდი, რომელზეც ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა) განხილული სს საქმეთა სტატისტიკური მაჩვენებელი გამოიყურება შემდეგნაირად:
   1.1. 2017 წელს მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა: 221 საქმე. განხილვა დაასრულა 219 საქმეზე. ამასთან, მოსამართლე -- -- განიხილა: 312 შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თაობაზე;
   1.2. 2018 წელს მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა: 105 საქმე. განხილვა დაასრულა 85 საქმეზე. ამასთან, მოსამართლე -- -- განიხილა 377 შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თაობაზე;
   1.3. 2019 წელს მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა: 45 საქმე. განხილვა დაასრულა 105 საქმეზე. ამასთან, მოსამართლე -- -- განიხილა 393 შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თაობაზე.
3. მხარეთა მოქმედებები - მხედველობაშია, მისაღები ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, 6 სხდომა გადაიდო მხარეების მიერ საპროცესო კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზით. კერძოდ, 2 სხდომა გადაიდო მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, ხოლო 4 სხდომაზე ბრალდების მხარემ ვერ შეძლო სასამართლოსთვის მოწმეების წარმოდგენა. ჩატარებულ სასამართლო სხდომებთან მიმართებაში, აღსანიშნავია, რომ ბრალდების მხარე, ვერ ახერხებდა სასამართლო სხდომებზე წარმოედგინა სათანადო რაოდენობის მოწმეები, რაც უზრუნველყოფდა სს საქმის საპროცესო ვადაში განხილვის შესაძლებლობას. საქართველოს სსსკ 228-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში მოწმეთა გამოცხადებას უზრუნველყოფენ პროცესში მონაწილე მხარეები. ამდენად, მოსამართლე მოკლებული იყო შესაძლებლობას, საკუთარი ინიციატივით, მოეხმო რომელიმე მხარის მოწმე სასამართლო სხდომაზე დაკითხვის მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის პარალელურად, გასათვალისწინებელია სასამართლოს მხრიდან განახორციელებული ქმედებათა თანმიმდევრულობა. ამასთან, დისციპლინური საჩივრის შესწავლის მომენტითვის სს საქმეზე ჩატარებულია 30 სასამართლო სხდომა. სასამართლო სხდომის ოქმების შესწავლის შედეგად ასევე ირკვევა, რომ მოსამართლემ არაერთხელ მოუწოდა ბრალდების მხარეს, რომ თუკი სურდათ ზემოაღნიშნული სს სამართლის საქმის საპროცესო ვადაში განხილვა, პროცესებზე წარმოედგინათ მეტი რაოდენობის მოწმეები.

ამდენად, დისციპლინური საჩივრის შესწავლის შედეგად დადგენილი ზემოაღნიშნული გარემოებები, იძლევა იმის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ მოსამართლე -- -- მხრიდან არ იკვეება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი, ვინაიდან საქმეზე წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ მიუთითებენ საპროცესო ვადის არასაპატიოდ დარღვევის ფაქტზე.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას

მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

ამავე ორგანული კანონის 75^8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წინასწარი შემოწმების შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აფასებს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობას და წინასწარი შემოწმებისათვის ამ კანონის 75^7 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული ფაქტობრივი/სამართლებრივი გარემოებებისა შეფასების საფუძველზე, დადასტურებულად არ მიიჩნია მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 9 წევრმა ხმა მისცა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^8 მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №212/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი